შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის“

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (პროექტი)

მუხლი 1. შესავალი

1. დოკუმენტში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის (სასკოლო სასწავლო გეგმის) განვითარების მეთოდოლოგია. ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1.1. სასკოლო კურიკულუმის მიზნები (რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი);

1.2. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;

1.3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;

1.5. ძირითადი პროცესები;

1.6. კავშირი სხვა პროცესებთან.

მუხლი 2. სასკოლო კურიკულუმის მიზნები (რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი

სასკოლო კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის აკადემიურ სრულყოფას, თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებას და იმ კომპეტენციების განვითარებას, რომელიც მოსწავლეებს სჭირდებათ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად და ცვალებად სამყაროში ადაპტაციისთვის.

2.1 <u>სასკოლო კურიკულუმის მიზნები:</u>

2.1.1 კურიკულუმის შემუშავება არის საგანმანათლებლო პროცესის ის ასპექტი, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ხერხემალს, აყალიბებს სკოლის აკადემიურ სტრუქტურას და წარმართავს სწავლა-სწავლების პროცესებს. ის ხაზს უსვამს კონცეპტუალური გაგების, ჰოლისტიკური სწავლისა და ტექნოლოგიების ინტეგრაციის მნიშვნელობას. სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებს მიიღონ სათანადო განათლება, რაც ხელს უწყობს მათ ჰოლისტურ განვითარებას და ამზადებს მათ მომავლისთვის.

2.1.2 კურიკულუმის შემუშავება არ არის სტატიკური პროცესი, არამედ დინამიური პროცესია, რომელიც მგრძნობიარეა დროისა და ადგილის მიმართ, ის განიცდის განახლებასა/განვითარებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებიდან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე;

2.1.3 სასკოლო კურიკულუმი მასწავლებლებს აძლევს სტრუქტურირებულ ჩარჩოს, რათა შეიმუშავონ საგნობრივი პროგრამები, სასწავლო აქტივობები და შეფასებები, რომლებიც შეესაბამება სკოლის სასურველ აკადემიურ შედეგებს (მისცეს მოსწავლეებს შემოქმედებითად და კრიტიკულად აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, ინოვაციური და ლიდერობის უნარი), რათა აღჭურვოს ისინი მომავალი ცხოვრებისთვის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

2.1.4 კურიკულუმი ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

2.2 <u>დოკუმენტი, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:</u>

- სკოლის მისია;
- სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდური ორიენტირები (სწავლება/სწავლის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, სწავლება/წავლის ძირითადი ორიენტირები, სკოლის მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით);
- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება (სასწავლო კალენდარი, დღის რეჟიმი და მოსწავლეთა რაოდენობა, საათობრივი ბადე, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა კლასების მიხედვით, კლასის კურატორების გადანაწილება კლასების მიხედვით);
- საგნობრივი კათედრები (კათედრის ფუნქციები, კათედრის მოწყობა, კათედრის თავმჯდომარის მოვალეობები);
- კლასის კურატორის საქმიანობის მიზნები და ამოცანები;
- სასწავლო მასალები და გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი (მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა და აღდგენის პროცედურები, საგნის სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნის გამოყვანა, კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, გაცდენები, შეფასების გამჭვირვალობა);
- დისტანციური სწავლება;
- ინკუზიური განათლება(ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება);
- სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და განვითარების აღწერა.

მუხლი 3. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი

3.1 მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა (სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა ნიშნავს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისობას ისეთ დოკუმენტებთან, როგორებიცაა: ა) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; ბ) ზოგადი განათლების შესახ ებ საქართველოს კანონი).

3.2 სასკოლო კურიკულუმის საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები, რომელშიც ასევე ასახულია სკოლის მისია და ხედვა.

3.3 სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სკოლის შინაგანაწესს, საგნობრივი კათედრების დებულებებს.

მუხლი 4. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები (პოზიციები)

სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებზე, დირექტორის მოადგილეზე სასწავლო აღმზრდელობით და რგში, ხარისხის მართვის მენეჯერზე და სასწავლო პროცესის კოორდინატორზე. დირექტორის მოადგილე პასუხს აგებს სასწავლო პროცესების მიმდინარეობაზე, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი კი ხარისხის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 5. პროცესში ჩართული მხარეები

5.1. მასწავლებელი ვალდებულია:

5.1.1 აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით.

5.1.2 უზრუნველყოს მონაცემების ბაზის (საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებით პროდუქტები, სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა შეფასების და სხვა) განახლება, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა;

5.1.3 მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში, მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.

5.2 კათედრის თავჯმდომარე ვალდებულია:

5.2.1 კათედრის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების, მისი გამოყენების მექანიმების და ინტენსივობის შესახებ.

5.2.2 უზრუნველყოს კათედრის სხდომების, სამუშაო შეხვერრების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად;

5.2.3 დათქმულ ვადებში სასწავლო პროცესის კოორდინატორს მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;

5.2.4 მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

5.3 დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ვალდებულია:

5.3.1 ფასილიტაცია გაუწიოს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესს;

5.3.2 გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

5.3.3 მოამზადოს ანგარიში საგნობრივი კათედრების, კლასის კურატორებისა და არფორმალური განათლების ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, მასალების საფუძველზე და მიაწოდოს დირექტორს.

5.3.4 მონაწილეობა მიიღოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში;

5.4 ხარიახის მართვის განყოფილების მენეჯერი ვალდებულია:

5.4.1. უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრების წარმართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები; შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად;

5.4.2. კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

5.4.3. სასწავლო პროცესის კოორდინატორთან ერთად შეიმუშაოს სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტები, მეთოდები და განახორციელოს შეფასების/მონიტორინგის პროცესი;

5.4.4. უზრუნველყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;

5.4.5. განახორციელო ინოვაციური პროგრამების ანალიზი, დანერგვისთვის შეუმუშაოს რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს;

5.4.6. უზრუნველყოს სასწავლო კოორდინატორთან ერთად სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მისი წარმომადგენლების საქმიანობის თვითშეფასება, საჭიროებათა კვლევების ჩატარება; მოამზადოს კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები დირექტორთან წარსადგენად;

5.4.7. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით (წინასწარ შეთანხმებული ფორმით).

5.5 <u>სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალდებულია:</u>

5.5.1 უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება;

5.5.2 კოორდინირებას უწევს სკოლის სასკოლო კურიკულუმი სგანხორციელებისა და შეფასების დამადასტურებელ ყველ საჭირო დოკუმეტაციის წარმოებას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად; უზრუნველყოს მასწავლებელთადა კათედრის თავმჯდომარეების საქაღალდეების ბაზის შექმნა;

5.5.3 მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში. უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია;

5.5.4 მონაწილეობა მიიღოს სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მისი წარმომადგენლების საქმიანობის თვითშეფასების, საჭიროებათა კვლევების ჩატარების და კვლევის ანგარიშის მომზადების პროცესში;

5.5.5 მონაწილეობა მიიღოს სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტების, მეთოდების შემუშავების და შეფასების/მონიტორინგის პროცესში;

5.5.6 მონაწილეობა მიიღოს ხარისხის მართვის განყოფილების მენეჯერთან ერთად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;

მუხლი 6. ძირითადი პროცესები:

6.1 კურიკულუმის განვითარება მუდმივი ციკლია. ის გულისხმობს შემდეგ ძირითად პროცესებს ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.

6.2 პროცესის დაწყება:_სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე".

6.3 კურიკულუმის განვითარების ეტაპების აღწერა:

ა) კურიკულუმის შემუშავება

კონცეპტუალურ ჩარჩო ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სკოლის ფილოსოფიას.

- საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, და მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე, რომელთა საფუძველზე იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს უზრუნველყოფს;
- სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;
- სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად, თემა შეირჩევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;
- სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად;
- სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის „კონსტრუქტორი" და სწავლის პროცესის წარმმართველი;
- სასწავლო პროცესი ეფუძნება კონტრუქტივისტულ მიდგომასა და თანამშრომლობით სწავლების მიდგომებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში აზროვნების, ფიქრის, განსჯის, მეტყველების კულტურის და ორატორული უნარების განვითარებას. საგაკვეთილო სტრუქტურა დამყარებულია სამფაზიანი გაკვეთილის მოდელზე:

  I ეტაპი-მოტივაცია, ხდება შესასწავლი თემის გაცნობა და პიროვნული ცოდნის გააქტიურება. შეგროვება;

  II ეტაპი _ შინაარსის რეალიზება, ახალი ინფორმაციის მიწოდება;

  III ეტაპი _ რეფლექსია, ახალი მასალის გააზრება სიღრმისეული გაგება, გაანალიზება და ცოდნის ტრანსფერი.

- სწავლება ეფუძნება საგანთა ინტეგრირებას/საგანთაშორის კავშრებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერი

განსხვავებულ სიტუაციაში და შემოქმედებით პროდუქტებში.

- სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების (როგორც ფიზიკური და კოგნიტური, ასევე ფსიქო-სოციალური განვითარების) ხედვას. სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;

კურიკულუმის დიზაინი

1. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:
   1.1. მომდევნო სასწავლო წელს საგნებში შესასწავლი სავალდებულო თემების განსაზღვრის შესახებ;
   1.2. თემის ფარგლებში შესასწავლი ქვესაკითხებისა და საკითხების შერჩევის შესახებ საფეხურის შედეგების მისაღწევად;
   1.3. თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად შემოქმედებით პროდუქტებზე;
   1.4. თემების ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ.
   1.5. შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი და დამხმარე რესურსების შესახებ;
   1.6. მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოსაყენებელი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ;
   1.7. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესწავლის მექანიზმების შერჩევის შესახებ.

2. კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობს საგნობრივი კათედრების ყველა წევრი;
3. საგანში შეთანხმებული კურიკულუმით სარგებლობა სავალდებულოა ყველა მასწავლებლისთვის.

<u>ბ) დანერგვა</u>

1. კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს წლის დასწყისში დაგეგმილი პროცესის განხორციელებას. ამ პროცესში:
   - პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში;
   - პედაგოგი ინიშნავს ცოდნის კონსტრუირების პროცესში გამოყენებულ ეფექტურ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს;
   - პედაგოგი იყენებს განმავითარებელ შეფასებას: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება; ბ) კომენტარი რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ) მოსწავლის თვითშეფასება რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსია;

- გაკეთებული საფუძველზე მასწავლებელი კათედრაზე კოლეგებთან განსახილველად წარადგენს სასწავლო პროგრამას.
- პედაგოგები კათედრის სხდომაზე (თემაზე მუშაობის პროცესში იმართება კათედრის მინიმუმ ერთი სხდომა), წარმოადგენენ პრაქტიკული გამოცდილების შედეგებსა და რეკომენდაციებს საგნობრივი სასწავლო პროგრამის შესახებ.
- პედაგოგების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე შეაქვთ ცვლილება-დამატებები (საჭიროების შემთხვევაში) მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ პროგრამებში.
- კათედრის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კათედრის თავმჯდომარე და მდივანი; ოქმის შინაარსი უნდა შეიცავდეს: ა) შეხვედრაზე სწავლება-სწავლის შესახებ განხილული თემები; ბ) მომხსენებელი და პრეზენტატორი პედაგოგების ვინაობა, სასწავლო პროგრამის განხორციელების ვადები; გ) მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები; დ) განხილვის შედეგად დადგენილი გადაწყვეტილებები (მიღწეული შეთანხმება).
- სხდომოს ოქმი წარდგინება კურიკულუმის განვითარების ჯგუფის წევრებს გასაცნობად, რომლის საფუძველზე დაიგეგმება სასკოლო კურიკულუმის განვითარება;
- სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მშობლებს;

2. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

<u>გ) მონიტორინგი და შეფასება</u>

კურიკულუმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული შინაარსის შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

- სასკოლო და სასწავლო მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში მინიმუმ ორჯერ (ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ).
- ყოველი სემესტრის ბოლოს პედაგოგები, კლასის კურატორები, კათედრის თავმჯდომარები, სკოლის ბიბილიოთეკარი და სკოლის ფსიქოლოგი წარადგენენ გაწეული საქმიანობის ანგარიშებს დირექციაში;
- სასწავლო ნაწილი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და სემესტრში ერთხელ წერს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- პედაგოგები, კლასის კურატორები, კათედრის თავმჯდომარები, სკოლის ბიბილიოთეკარი

და სკოლის ფსიქოლოგი, ყოველი სემესტრის ბოლოს სასწავლო პროცესის კოორდინატორთან წარადგენენ ელექტრონულ საქაღალდეს (საგნობრივი კურიკულუმები, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, შემაჯამებლების ნიმუშები და ანალიზები, შესაბამისი მტკიცებულებები).

- მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს).
- მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული მასალების გასაანალიზებლად ტარდება კურიკულუმის განვითარების ჯგუფის შეხვედრა, რომელიც შინაარსის შესწავლის შედეგად შეიმუშავებს ინიცირების წერილს კურიკულუმის გასავითარებლად საჭირო ცვლილებება-დამატებების შესახებ და წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

<u>დ) გადასინჯვა და რევიზია</u>

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დაწერგვის პროცესის გაანალიზება.

1. სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები კათედრის სხდომაზე აკეთებენ საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვას/რევიზიას. საგნობრივ კურიკულუმის ფარგლებში დაწერგილი თემების, საკითხების, აქტივობების, სასწავლო რესურსების შემოქმედებითი პროდუქტების ეფექტურობისა და ვალიდურობის შესახებ ამზადებენ ანგარიშს.
2. კათედრის თავმჯდომარე, წევრებთან ერთად წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილება-დამატებების (საჭიროების შემთხვევაში) შეტანის შესახებ.
3. სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მიზნით, ხარისხის მართვის განყოფილების წარმომადგენლები (ხარისხის მართვის განყოფილების მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი) წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) ატარერებენ მშობელთა, მასწავლებელთა და სხვა წარმომადგენელთა რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევას (ანკეტირება ფოკუს-ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი) სკოლის მართვის, სწავლა-სწავლების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მოსწავლის შეფასების, სასწავლო გარემოს შესახებ;
4. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს კვლევის ანგარიშს, რეკომენდაციებს მომავალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკიულუმის განვითარების შესახებ და გადასცემს სააგნობრივი კათედრის თავმჯდომარებს კათედრაზე განსხილველად. ასევე, წარუდგენს სკოლის დირექტორს.
5. სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და რევიზიის შედეგების საფუძველზე გადაისინჯება წინა წლის სასკოლო კურიკულუმი და მისი გაუმჯობესების მიზნით შევა ცვლილება-დამატებები.